



**განათლების
საინსტის განვითარების
ეროვნული ცენტრი**

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის
საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის
განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე



შესავალი

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და შესაბამისად, ინსტიტუციის მართვის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს. როგორც დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, ისე მთლიანად, უსდ-ში, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას/განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ინსტიტუციამ უზრუნველყოს ერთი მხრივ, სტუდენტთა წარმატებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და მეორე მხრივ, უსდ-ს მისიისა და პროგრამის მიზნების განხორციელება, დასახული შედეგების მიღწევა და დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას სრულყოფილად შეფასდეს/გაანალიზდეს, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამასა და უსდ-ში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/გაზრდის პირობებში შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის, ასევე, მათთვის სათანადო ხარისხის სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული აქტივობებისთვის განსახორციელებელი გარემო.

აღნიშნული მეთოდოლოგიური რჩევები შესაძლებელია გამოიყენოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაგეგმვის დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის/საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტებმა შეფასების პროცესებში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს/საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილების მიღებისას და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

დაწესებულების/პროგრამის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით გასათვალისწინებელი აქტივობები და/ან ძირითადი კითხვები, რომელსაც უნდა პასუხობდეს ინსტიტუციის მხრიდან დაგეგმვის, ექსპერტების მიერ შეფასების და საბჭოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესი:

1. როგორ ადგენს უსდ სტუდენტების რაოდენობას პროგრამაზე/პროგრამებზე და პროგრამის/პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას; რამდენად ეფექტურად მოხდება სტუდენტთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობებში.
2. ინსტიტუციას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმაში ასევე შეუძლია ასახოს, როგორ ხდება შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტთა შერჩევა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობებში; რამდენად არის დაკავშირებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაცი(ებ)თან; რამდენად ითვალისწინებს პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები დარგის სპეციფიკას და



- უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტთა გაზრდილი ოდენობის ფარგლებში;
3. როგორ უზრუნველყოფს ინსტიტუცია დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის მართვასა და პროფესიულ განვითარებას, იმისთვის რომ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესები წარმართოს ეფექტურად სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობებში და შესაძლებელი გახდეს საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით და ინსტიტუციის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული შედეგებისა და მიზნების მიღწევა;
 4. როგორ განახორციელებს/უზრუნველყოფს ინსტიტუცია სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობებში ეფექტურად;
 5. რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციის მატერიალური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობებში.

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/გაზრდის მიზნით დამატებითი აქტივობები და/ან ძირითადი კითხვები ინსტიტუციური შეფასების ჭრილში:

1. შეაფასეთ რამდენად უკავშირდება ინსტიტუციის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა უსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. შეაფასეთ ინსტიტუციის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ეფექტურობა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში, მათ შორის, როგორ განსაზღვრავს ინსტიტუცია სტუდენტების რაოდენობას პროგრამებზე, რამდენ სტუდენტს მიიღებს ყოველწლიურად სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, რა წინაპირობების დაკმაყოფილებით და ა.შ.
3. შეაფასეთ, რამდენად იძლევა ინსტიტუციის აკადემიური / ადმინისტრაციული / სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა (მათ შორის სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა) და კვალიფიკაცია იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუციამ ეფექტურად წარმართოს საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესები, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში;
4. შეაფასეთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუცია საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებას, კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში;

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/გაზრდის მიზნით დამატებითი აქტივობები და/ან ძირითადი კითხვები პროგრამული შეფასების ჭრილში:

1. როგორ ითვალისწინებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმილი რაოდენობა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ადამიანურ რესურსებს, კანონმდებლობითა და დარგობრივი



- მახასიათებლით დადგენილ მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სასწავლო/სამეცნიერო/ადმინისტრაციულ დატვირთვას, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის შედეგებს;
2. როგორ ეფუძნება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმილი რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას;
 3. რამდენად ითვალისწინებს სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, თავად პროგრამის სპეციფიკას და პრაქტიკის ობიექტების/ლაბორატორიული/კლინიკური ბაზების რესურსებს (გთხოვთ, ასევე გაითვალისწინოთ, რომ საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკასა და/ან აფილირებული კლინიკაში (ხელშეკრულების საფუძველზე), პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის განმავლობაში უნდა შეადგენდეს: - თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის - ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის - მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის - პედიატრიის დეპარტამენტში - დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის - რენიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის;
 4. როგორ გეგმავს დაწესებულება მომდევნო წლებში (აკრედიტაციის ვადის განმავლობაში) პროგრამაზე სტუდენტთა მიღების გამოცხადებას და რაოდენობრივ გადაწვევას, სტუდენტთან, პერსონალის დენადობისა და სხვა საჭირო რესურსების გათვალისწინებით;

გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისას უსდ ფასდება ავტორიზაციის/აკრედიტაციის შვიდივე/ხუთივე სტანდარტთან მიმართებით, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადის მომზადება შეუძლებელია განხორციელდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობის გარეშე. განაცხადის ფორმის მომზადების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

ინსტიტუციისა და პროგრამის შესაბამისობის აღწერა თითოეულ სტანდარტთან მიმართებით საჭიროა გაკეთდეს PDCA-ციკლის მიხედვით. PDCA-ციკლის ფორმატის გამოყენება განაცხადის ფორმაში საშუალებას აძლევს ინსტიტუციას უკეთესად წარმოაჩინოს ინსტიტუციაში არსებული შიდა ხარისხის კულტურა და მუდმივი გაუმჯობესების მექანიზმები. განაცხადში გაკეთებულ შეფასებებს, მტკიცებულებების სახით უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

რჩევები ექსპერტებისა და საბჭოს წევრთათვის ინსტიტუციის მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შეფასების, დასკვნის მომზადების და გადაწყვეტილების მიღებისთვის:

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა და პროგრამაზე სტუდენტთა მიღება შესაბამისობაში უნდა იყოს უსდ-ს მისიასთან, და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და პროგრამის მიზნებთან. ამასთანავე, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმის შევსებისას რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ გეგმავს ინსტიტუცია საჭირო პირობების შენარჩუნებას სტუდენტებისა და პერსონალისათვის, სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის პირობებში.



ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მიზანშეწონილია ასახავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრასთან მიმართებით:

1. დაინტერესდით იმით, თუ რომელი სამსახურები/სტრუქტურული ერთეულები/პირები არიან ჩართული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის პროცესში დაწესებულებაში;
2. გაანალიზეთ ინფორმაცია სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობის შესახებ და დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია აქტიური/სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შესახებ, სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების მაჩვენებლები, საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა და სხვა);
3. გადაამოწმეთ თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასა და ინსტიტუციაში არსებულ სივრცეებს (სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები/ლაბორატორიული რესურსი, კლინიკური ბაზა და ა.შ) შორის;
4. გადაამოწმეთ თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასა და ადამიანურ რესურსებს (აკადემიური, მათ შორის აფილირებული, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული პერსონალი) შორის;
5. მოიძიეთ და გადაამოწმეთ ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტების/კლინიკების შესახებ, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას/კლინიკურ სწავლებას.

გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იწერება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, თუმცა, შეფასება უნდა მოიცავდეს სტანდარტის ყველა იმ კომპონენტის ანალიზს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან, მათ შორის არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი მახასიათებლის ფარგლებში მითითებულ მოთხოვნებთან/თანაფარდობებთან / რაოდენობებთან.

ამასთანავე, დასკვნის ფორმაში ექსპერტის მიერ მონიშნული საბოლოო შეფასება არ აფასებს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მიმდინარე მდგომარეობას, ექსპერტი ამ მხრივ შეფასებით დასკვნას აკეთებს უშუალოდ სტუდენტთა მოთხოვნილ გაზრდილ რაოდენობასთან მიმართებაში; მაგალითად, სტანდარტის ქვეშ გაკეთებული უარყოფითი დასკვნა (“არ აკმაყოფილებს”) თავისთავად იმ მოცემულობას არ გულისხმობს, რომ უსდ/საგანმანათლებლო პროგრამა არ არის შესაბამისობაში ავტორიზაციის, ან აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის დადგენისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა უსდ-ს რესურსებზე ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური კუთხით და ასევე ექსტრაკურსულურ აქტივობებზე; სასწავლო, მატერიალური, საბიბლიოთეკო, კვლევითი, სამეცნიერო და სხვა რესურსები საკმარისად და თანაბრად იყოს მათზე გადანაწილებული; ხარისხის მექანიზმები, მათ შორის სწავლის შედეგების მონიტორინგის სისტემა, დროულად ადაპტირდეს გაზრდილ, თუ შემცირებულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობასთან მიმართებაში. თავისთავად დიდი ყურადღება ეთმობა ასევე შრომის ბაზარზე ამა თუ იმ სპეციალობასთან დაკავშირებულ მოთხოვნას, ადგილობრივ თუ რეგიონალურ/საერთაშორისო



დონეზე. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა, შესაძლოა იწვევდეს მაგალითად: პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გადახედვას, ასევე სტუდენტთა გასაჩივრების მექანიზმების, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებებისა და სხვა პროცესებისა, რესურსების განახლების საჭიროებას და სამოქმედო გეგმაში ასახვას.

გარდა ამისა, საკმარისი ყურადღება უნდა დაეთმოს ცალკეული პროგრამების სპეციფიკას, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჯანდაცვისა, კომპიუტერული მეცნიერებების საინჟინრო მიმართულებებისათვის დამატებით გასათვალისწინებელია სტუდენტების ადეკვატური წვდომა პრაქტიკის ინვენტარზე, ლაბორატორიულ რესურსებზე/დანადგარებზე, კლინიკურ განთავსებაზე, კლინიკური უნარების ცენტრის სიმულატორებზე, საუნივერსიტეტო/აფილირებული კლინიკის პაციენტებსა თუ სხვა პროგრამულ რესურსზე. მეორე მხრივ, ხელოვნების მიმართულების პროგრამებზე, მაგალითად, სამუსიკო და სხვა საშემსრულებლო მიმართულებებისათვის, როგორც წესი, გასათვალისწინებელია სტუდენტს ჰქონდეს უშუალო ინდივიდუალური დონეზე მენტორ-მასწავლებელთან ურთიერთობის/ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობა.

ინსტიტუციასა და პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის/გაზრდის პროცესში, მიზანშეწონილია გაანალიზდეს სართაშორისო გამოცდილება, თუ როგორი თანაფარდობები არსებობს სტუდენტსა დაწესებულების პერსონალს (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო და დამხმარე) შორის, რა არის ის მინიმალური სასწავლო ფართი, რომელიც გამოყოფილი უნდა იყოს ერთ სტუდენტზე.

მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების შესრულება სტუდენტების გაზრდის შემთხვევაში, ასევე, ხომ არ იწვევს სტუდენტების რაოდენობის მომატება ამ სამიზნე ნიშნულების გადახედვას.